

კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი   მ ე მ კ ვ ი დ რ ე ბ ი ს   ს ა ხ ლ ი .

გურამ ყიფიანი

მესხური  
საცხოვრისი



GURAM KIPIANI

MESKHI'S  
DWELLING

House of Caucasian Heritage

გურამ ყიფიანი  
მესხური საცხოვრისი

GURAM KIPANI

**MESKHI'S DWELLING**



*თბილისი 2002 Tbilisi*

nginoz  
ng and  
iety is  
gether  
tion to  
nan by

ashvili

om

ეს პატარა წიგნი პროფესორ ლონგინოზ სუმბაძის ნათელ ხსოვნას ეძღვნება – ადამიანს, რომელმაც თითქმის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება ქართული საცხოვრისების არქიტექტურული კონცეფციის გამოვლენასა და მის შესწავლას შესწირა. მისი რკვევებით ქართული საზოგადოება დიდადა დავალებული, რეალურად არსებულ ძეგლებთან ერთად სწორედ მისი ნაშრომებია ის წყარო, ჩვენს თანამედროვეობას ძველ საცხოვრისთა არსისადმი და წარსულის ადამიანის ქმედებათა თანამიმდევრობის შეასცნობად ინტერესს რომ უღვიძებს.

მთავარი რედაქტორი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ელდარ ნადირაძე  
პასუხისმგებელი გამოცემისათვის – ვლადიმერ კიკილაშვილი  
ინგლისური ტექსტი – თენგიზ თხილაკასი  
რედაქტორები – მარინა კაპანაძე, ტატიანა ამბოკაძე, გივი ყურაშვილი  
ასისტენტები: მიხეილ ღვინჯილია, თორნიკე ფარალაშვილი, ირინე მალრაძე

გარეკანის პირველ გვერდზე: მესხეთი, სოფ. ძველი მუსხი, მიტოვებული დარბაზი.  
გარეკანის მეოთხე გვერდზე: ქვის ცრუგუმბათოვანი სახლი ჭობისხევიდან.  
ვლადიმერ ბურჭულაძის ფოტოები.

©კავკასიური მემკვიდრეობის სახლი.

წიგნი დაიბეჭდა ნორვეგიის საელჩოს მხარდაჭერით

ISBN 99928 - 0 - 293 - 6

This book is dedicated to the memory of professor Longinoz Sumbadze – the man who gave all his scientific life to unveiling and searching of Georgian architectural conception. Georgian society is indebted very much to his works. They are that very sources together with real monuments, which awakens interest of our population to ancient dwellings and generally to realize activities of ancient man by modern society.

Senior Editor: Doctor of history Eldar Nadiradze  
Responsible for publication: Vladimer Kikilashvili  
English text: Tengiz Tkhilava  
Editors: Marina K'ap'anadze, Tatiana Ambokadze, Givi Kurashvili  
Assistants: Mikheil Gvinjilia, Thornike Pharalashvili, Irine Magradze

At the first page of cover: Meskheti, village Dzveli Muskhi.  
Abandoned "darbazi".  
At the fourth page of cover: House with stone false dome from village Chobiskhevi  
Photos by Vladimer Burchuladze.

© House of Caucasian Heritage

With support of Embassy of Norway in Baky

ჩვენი მცდელობა, რომ საზოგადოების ყურადღება საქართველოს სამხრეთის ისტორიულ ოლქ მესხეთ – ჯავახეთისაკენ და მესხური საცხოვრისებისაკენ მივაპყროთ, შემთხვევითი სრულებით არაა.

მესხეთ – ჯავახეთი მონუმენტური არქიტექტურული ძეგლებით ერთ – ერთი ყველაზე მეტად დაყურსული მხარეა საქართველოში: ეკლესიებითა და სამონასტრო კომპლექსებით, ციხე – სიმაგრეებით, კლდოვანი ქალაქებით. ამჟამად მიწითაა დაფარული ოდესღაც მძლავრი საქალაქო ცენტრები: ოძრხე, წუნდა, ბარალეთი. მდინარე მტკვრის ორივე მხარეს ნასოფლართა კვალი ცხადად იკითხება და მათ ებმის ქვის კედლებით შემტკიცებული სასოფლო – სამეურნეო ტერასები, რომელთა სიგრძე კილომეტრებს მოიცავს. მათზე ალაგ – ალაგ ახლა უკვე გაველურებული ვაზი და ხეხილიცაა შემორჩენილი. ამჟამად მხოლოდ წარსულის ძეგლები მეტყველებს ამ ოდესღაც აყვავებულ, მჭიდროდ დასახლებულ მხარეზე, სადაც ყოველ ვზასაყარზე ციხე იყო აღმართული, სადაც სასოფლო დასახლებებს ქალაქები აწესრიგებდა და სადაც მონასტრები და საეპისკოპოსო ცენტრები ქრისტიანულ სწავლებას აღრმავენ.

თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ეს მხარე საქართველოსათვის ერთდროულად როგორც სამხედრო – რელიგიურ, ასევე მძლავრ სამეურნეო რეგიონს წარმოადგენდა, რომელსაც ძირძველი ქართული ფეოდალური სახლები მართავდა. საქართველოსათვის იგი წინ წაწეული ფორპოსტი იყო მუსულმანური სამყაროს გასაკონტროლებლად, მუსულმანური სამყარო კი მას ბუნებრივად მოიაზრებდა, როგორც გასაღებს საქართველოს დასაპყრობად. ისტორიულ პროვინციათა საზღვრები მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ცვალებადობას განიცდიდა და თანაც ისეთი არქიტექტურული კატეგორია, როგორც საცხოვრისია, ტიპოლოგიურად შეუძლებელია რომელიმე ერთ რეგიონში იყოს ჩაკეტილი და არ სცილდებოდეს მის საზღვრებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი მიმოხილვა ზოგჯერ მესხეთ – ჯავახეთის საზღვრებს გასცდება.

როდესაც ტურისტები ამ მხარეს, მის ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს მონახულებს, მას შესაძლოა ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაეუფლოს და ბუნებრივი კითხვაც გაუჩნდეს: მონუმენტური ძეგლების, საერო და სასულიერო არქიტექტურული ქმნილებების გვერდით მან ვერ ნახა ის სივრცე, რომელსაც მალე განვიხილავთ და რომელიც მკვიდრი მიწათმოქმედი ხალხის მიერ უნდა იყოს შექმნილი მისი ყველა გამოვლინებით და როგორც საუკეთესო ეკოლოგიური სამყარო, საუკუნეების მანძილზე ფუნქციონირებდა. ცხადია, ამ საუკუნეთა განმავლობაში მისი მხატვრული სახე ცვლილებებს განიცდიდა, იხვეწებოდა მისი ინტერიერი და სხვა, მაგრამ ტურისტს კითხვა ებადება: სად ცხოვრობდა ის ხალხი,

რომელიც ამ მონასტრებს ქმნიდა და რამდენად შეესაბამება მათი საცხოვრისები იმ სივრცობრივ აზროვნებას, რასაც მონუმენტურ ძეგლებში ვხედავთ. ანუ, წარმოადგენს თუ არა, ვთქვათ, ეკლესია – მონასტრები მოსახლეობის სოციალურ დანაკვეთს და პასუხობს თუ არა მის მოთხოვნებს. ამ შეკითხვაზე ექსკურსიამძღოლი, სპეციალურად ტურისტთა მომსახურებისათვის დასაქმებული, თუ ამ მხარის კარგად მცოდნე პიროვნება, სამწუხაროდ ხელს დედაქალაქისაკენ გაიშვებს და ღია ცის ქვეშ გამართულ ეთნოგრაფიულ მუზეუმს დაასახელებს.

მართლაც, XX საუკუნის 60 – იან წლებში გადაწყდა თბილისში, კუს ტბის მიდამოებში ხალხური ხუროთმოძღვრების მუზეუმის შექმნა, რაც ითვალისწინებდა საქართველოს ყველა კუთხიდან საცხოვრისთა უნიკალური ნიმუშების გადმოტანას. ე. ი. სოფლებიდან ან სხვა დასახლებული პუნქტებიდან უნდა მოხსნილიყო სახლები, ანუ უნდა დაშლილიყო და ტრანსპორტირების შემდეგ თავიდან აწყობილიყო მათთვის შერჩეულ ტერიტორიაზე. ასეთი მუზეუმი მართლაც შეიქმნა და არც დამთავალიერებელი აკლია. საქართველოს რეგიონების მიხედვით მშენიერად ედევნება თვალი ხალხური არქიტექტურის განვითარებას და რაც მთავარია, გადარჩა ძვირფასი ნიმუშები, რომელთაც ადგილებზე უეჭველი განადგურება ელოდათ. დღევანდელი გადასახედიდან კი ასეთი ქმედება უკვე ერთგვარ სკეფსისს იწვევს: ამკარად სასარგებლო და საჭირო საქმის გვერდით მისი უარყოფითი შედეგებიც გამოჩნდა. ისე კი, ალბათ ჯობდა, მუზეუმი საცხოვრისთა მოდელებით შექმნილიყო, ხოლო ორიგინალები ადგილებზე დაგვეცვა და შეგვენარჩუნებინა.

კულტურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი არაერთი მსოფლიო ქარტია თუ კონვენცია უძრავი ძეგლის არათუ გადაადგილებას, არამედ მასში ჩარევის ელემენტარულ გამოვლინებასაც კი კრძალავს, მაგრამ თავის დროზე არც ეს კონვენციები იყო ცნობილი ქართული საბჭოთა საზოგადოებისათვის, არც სახელმწიფო ითვალისწინებდა სპეციალურ პროგრამებს ძეგლთათვის, ანუ ისეთ პროგრამებს, სადაც ყველა ძეგლი ინდივიდუალური მიდგომისა და დაცვის საგანი იქნებოდა, მისი განსაკუთრებული სპეციფიკიდან გამომდინარე. მისთვის სავსებით საკმარისი იყო არსებული მდგომარეობა. მუზეუმის შექმნით, რა თქმა უნდა, გადარჩა ცალკეული ნიმუშები და უნდა გავიმეოროთ, მათ განადგურება ელოდათ, რადგან მოდა, თანამედროვე სახლი, რომელიც ცოტათი მაინც ქალაქურ სახლსაა მიმსგავსებული, მტკიცედ იკიდებდა ფეხს ძველისძველ სოფლებში; ახალ თაობებსაც დრომ სხვა მოთხოვნები დაუყენა. ამ მხარეში ჯერ კიდევ ცოცხლობენ მოხუცები, რომლებიც იხსენებენ, რომ მესხურ სახლებში (ქართული დარბაზული სახლის ერთ – ერთი სახესხვაობა) ერთდროულად

ერთი გვარის 7 ოჯახსაც კი უცხოვრია. მთავარი ისაა, რომ როგორც ირკვევა, ასეთი სახლები მარტოოდენ საცხოვრისები არ ყოფილა: მისი კონსერვატიული ტიპი ნაწილობრივ უძველესი რწმენა – წარმოდგენების სიმყარესაც განაპირობებდა. იმის მიუხედავად, რომ დიდი, წარსულში განუყოფელი ოჯახები თაობათა მიხედვით ცალკეულ მცირე ოჯახებად დაიშალა, გვარსა და მოდემას ეს ძველისძველი სახლები აერთიანებდა, როგორც თავშეყრის პუნქტი გვართან დაკავშირებულ ამა თუ იმ თარიღის აღსანიშნავად, ე. ი. არსებობდა გარკვეული მიზიდულობის ძალა, გვარის წმინდა ადგილი, საკურთხეველი, კერა, როგორც მძლავრი იარაღი, თემისა თუ სოფლის დაშლის წინააღობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძეგლები, ანუ საცხოვრისები არ წარმოადგენს ოფიციალური კულტურის სახურების ადგილს, ვფიქრობთ, საცხოვრისის პარალელურად მათ სავსებით შეიძლება საკულტო – საზოგადოებრივიც ეწოდოს. თემი და გვარი უკვე საზოგადოებაა, ხოლო რიტუალური სახლი კულტს თავისთავში უცილობლად გულისხმობს.

უძრავ ძეგლს, თუნდაც რომ იგი ხალხური შემოქმედების ნიმუში იყოს, მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. ამ მრავალმხრივობაში სოციალური მხარეც იგულისხმება, განვითარების კულტურულ – ისტორიული და შესაძლოა პოლიტიკური პროცესებიც. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ რეგიონის კუთვნილება ქვეყნისა და მისი კულტურული არეალისადმი ყველაზე მეტად სწორედ არქიტექტურული ძეგლით ცნობიერდება, და როცა იგი ტერიტორიიდან, ანუ თავის წარმომშობი მხარიდან ქრება, თემიც თავის ძირითად სამყაროს შორდება და ძველისძველ დასახლებათა გაუკაცრიელების შეუწყობელი პროცესი იწყება. მისი ერთ – ერთი გამომწვევი მიზეზი ნამდვილად ადგილებზე ტრადიციული არქიტექტურის ვერშენარჩუნებაა (სურ. XVIII, XIX).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველისძველი საცხოვრისი იზოლირებულად არ არსებობს. სამუზეუმო ექსპონატად კონტექსტის გარეშე ქცევა მას ნაწილობრივ აკარგვინებს ძეგლის ნიშნებს, რადგან იგი ძეგლს წარმოადგენს მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, გარემოთი, დასახლების განაშენიანებით, ლანდშაფტით, ეკლესიებთან, სიმაგრეებთან, სასოფლო მოედნებთან კომუნიკაციების ქსელითა და სხვ.

საერთოდ, რას წარმოადგენს მესხური საცხოვრისი, რითია იგი საინტერესო და როდის შეიძლება იგი ჩამოყალიბებულიყო, როგორც ერთიანი, მთლიანი სისტემა? ქართულ საცხოვრისებს, განსაკუთრებით კი დარბაზულ სახლებს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა და ისინი დეტალურადცაა აღწერილი, და მაინც, მათთან დაკავშირებულ საკითხთა სიმრავლე უთუოდ საჭიროებს სხვადასხვა მიმართულებით კვლევას. აქ მათ მხოლოდ მოკლედ მიმოვიხილავთ და მესხური დარბაზის მაგალითზე მათი წარმოშობის

პირობებსა და სიცოცხლისუნარიანობის მიზეზებს განვიხილავთ.

მესხური დარბაზი მიწური ან ნახევრადმიწური ნაგებობაა. იგი ალბათ ბუნებრივად წარმოქმნა მთავორიანმა სივრცემ, საცხოვრისად სწორედ მიწურების სიღრმეება გააზრებული. მიწურის კედლები ქვითაა ამოშენებული, ძირითადად ადგილობრივი, ადვილადმისაწვდომი ჯიშებით. სახლების გეგმარება რაიმე მკვეთრად განსაზღვრულ სქემას არ ემორჩილება, ისინი გეგმარების მხრივ ზოგადად შეიძლება მარტივ და განვითარებულ ტიპებად დახასიათდეს. მარტივში ვგულისხმობთ ცენტრალურ ბირთვს, საკუთრივ დარბაზს, რომელსაც ერთი ან რამდენიმე დამხმარე სათავსო ებმის. მიუხედავად არათანაბარი მოყვანილობებისა, ეს სახლები შეიძლება ცენტრულ გეგმარებას მივაკუთვნოთ (როგორიცაა, მაგალითად, საცხოვრისი სოფ. ჭაჭკარში სურ. II, ვარძიის კლდოვანი ანსამბლის მახლობლად, ან დარბაზი ხიზაბავრაში სურ. III, ასპინძის რაიონში და სხვა). მათგან განსახვავებით, განვითარებული ტიპი გეგმარების სრულიად სხვა სურათს ხატავს, ესაა გეგმარების ნამდვილი “ფერწერულობა”, დარბაზთა გარშემო განვითარებულ სივრცეთა, ანუ ცალკეულ ბირთვთა ერთიანობა, ეს ნამდვილი სათემო სახლები ერთდროულად 5 – 6 ოჯახის საცხოვრისია. ნასყიდაშვილების სახლის (სოფ. ვალე, ახალციხის რაიონი) ფართობი დამხმარე სათავსოებთანად 1710 მ<sup>2</sup> შეადგენს (სურ. IV). აქვე უნდა აღინიშნოს რომ გეგმარების ერთგვარი ფერწერულობა მესხური სახლების თითქმის ყველა ნიმუშს ახასიათებს, თუნდაც ასპანიძეების სახლს სოფ. საროში, სადაც ძირითადი დარბაზის ორი გვერდიდან სხივისებურად იშლება სივრცეთა კომპლექსი.

საკმაოდ ხშირად გვხვდება გრძივი დაგეგმარების სახლებიც. ისინი მკაცრ გეომეტრიულ ჩარჩოებშია მოქცეული და ძირითადად ძველ ქართულ ქალაქებს ახასიათებს. ასეთ ნიმუშებს ახალციხეში ვხვდებით და ამ მხრივ დინამიური სქემით ნამდვილად გამოირჩევა სააკაძეთა სახლი, როგორც სხვადასხვა ზომის დარბაზთა ჰარმონიული ურთიერთობა (სურ. IV). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გრძივი გეგმარების დარბაზულ სახლებს იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით სასოფლო დასახლებებშიც. როგორც კონსტრუქციული ერთიანობა, ისინი ნაკლებად დახვეწილია, მაგრამ მაინც მკაცრად დაგეგმარებული (სურ. V; მაგალითად, ოქრომელიძეთა სახლი სოფ. მუსხში).

და მაინც, ამ სახლებში მთავარი მათი ზედა სტრუქტურებია – ჰორიზონტული წყობით ნაგები, სიმაღლეში აზიდული გუმბათები. მათ დაგვირგვინებაში შექმნილი ღიობები დარბაზის ცენტრში კერას უპირისპირდება. ასეთი კონსტრუქციის სახელად საქართველომ გვირგვინი დაამკვიდრა და მისი უკეთესი შესატყვისი ალბათ არც მოიძებნება. სახლი

ვერტიკალურ ჭრილში ორ ნაწილად გაიზარება – საცხოვრებელი მოცულობა და მისი დაგვირგვინება, მისი ქუდი, რომელიც გვირგვინის წნულსაც შეესაბამება თავისი წყობითა და მისგან წარმოქმნილი მხატვრული სახით. პარალელური წყობა ამ მხრივ მრავალ შესაძლებლობას იძლევა, პირამიდული სივრციდან (კვადრატული, საფეხურისებრი წყობა) სრულ კონუსამდე (კუთხური წყობის რვაკუთხოვანი ან თორმეტკუთხოვანი გვირგვინები). ოთხკუთხოვანი და რვაკუთხოვანი კუთხური წყობებით რომების მონაცვლეობა კი რომბულ – კესონურ ჭერსაც მოგვაგონებს (სურ. VIII, IX, XII, XV, XVI).

როდესაც საუბარია ადამიანის მოღვაწეობის რომელიმე სფეროზე, მისთვის ისეთი კატეგორიის მინიჭება, როგორცაა, მაგალითად, “ხალხური”, ან “კლასიკური”, ყოველთვის გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს თუნდაც იმიტომ, რომ “კლასიკური” ხალხურობას არ გამოირიცხავს და ხალხურიც შეიძლება კლასიკური ქმნილება იყოს, ისეთი, როგორცაა, მაგალითად, მესხური საცხოვრისი. მის ხალხურობაში ეჭვის შეტანა ძნელია, რადგან ასეთი სახლი უპირველესად საუკუნეთა მანძილზე უშუალო შეგრძნებებით გამოძემავებული ეკოლოგიური წონასწორობაა და ამასთანავე იგი სისტემური აზროვნების შედეგია. შრომისაგან შესუსტებული ენერჯის აღდგენა უკეთ სწორედ ამგვარ სივრცეში მიმდინარეობს. ადამიანის მიერ გარეთ შეთვისებული მზის მზურვალეობაც პირამიდულ სივრცეში უკეთ განიტვირთება, ვიდრე კუბურში. აქაც ისევე, როგორც მოცემულობაში, ანუ დიდ სივრცეში, გარემოში, ადამიანი საცხოვრისშიც სითბოსა და სინათლეს ზემოდან ღებულობს (ჭერში შექმნილი ღიობი, კერიდან ზემოთ ასული სიმხურვალე, გვირგვინის სივრცის გაფერება ტემპერატურით).

ვიტრუვიუსმა სრულიად ნათლად (თუმცა უკიდურესად ლაკონურად, როგორც მას საერთოდ ჩვევია) ახსნა ასეთი სახლების ეკოლოგიური ღირსება: “ასეთი სახლები თბილია ზამთარში და გრილია ზაფხულში”. აქ ორიოდ სიტყვით ვიტრუვიუსის ტრაქტატის მცირე მონაკვეთსაც უნდა შევეხოთ. კერძოდ, II წიგნის I თავის V განაკვეთს, თუმცა მისი IV განაკვეთიც ქართულ სინამდვილეს ასახავს, ანუ ქართულ ხის დარბაზს, რომელიც კოლხეთისათვის იყო დამახასიათებელი, განსაკუთრებით დასავლეთი საქართველოს ზღვისპირა ზოლისათვის.

ვიტრუვიუსი ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა და თავად ინჟინერი და არქიტექტორი იყო. იგი ჩვენამდე თითქმის სრული სახით მოღწეული არქიტექტურის ტრაქტატის ავტორია (“ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ”) და ეს შრომა მას განზრახული ჰქონდა იმპერატორ (უფრო ზუსტად, პრინცესს) ოქტავიანე ავგუსტუსისათვის მისართმევად. ბუნებრივია, ასეთ ნაშრომში შემთხვევითი “არქიტექტურული” ფორმა არ მოხვდებოდა.

მესხური სახლის მსგავსი (ვეიქრობთ, იდენტური) სტრუქტურა ვიტრუვიუსის ფრიგიული სახლის ზოგადი სახელწოდებით აქვს აღწერილი, თუმცა ვიტრუვიუსის ნაშრომში საერთოდ და კერძოდ კი ამ მონაკვეთში ვერაფრით გავერკვევით, თუ ამა თუ იმ აღწერილი ფორმის შედეგი არ წარმოვიდგინეთ, ანუ არ ვიგულისხმეთ რაღაც ართქმული, რომელიც შეუძლებელია არ არსებობდეს. რატომღაც (გასაგებია რატომაც), ვიტრუვიუსი ტექსტში “წვირღმანებს” გამოტოვებს ხოლმე – მას ალბათ უჭირს ტრაქტატის მკითხველის მინიმალური ცოდნა გაითვალისწინოს. მისთვის ლოგიკურად გამომდინარე კატეგორიები ყველასათვის მისახვედრი ჰქონია. იგი მოგვითხრობს: “ფრიგიელები კი, რომლებიც ხრიოკებში ცხოვრობენ და ცოტა ხე – ტყე აქვთ, ბორცვებს არჩევენ, თხრიან მათ, გაჰყავთ მისასვლელელები და მიწურს ბუნებრივი პირობების შესაბამისად აფართოებენ. ზემოდან კოჭებით კონუსურ სახურავებს ქმნიან, რომლებსაც ჯერ თიხით ფარავენ და შემდგომ – მიწის სქელი ფენით. ასეთი სახლები ზამთარში ძალიან თბილია და ზაფხულში გრილი”.

სრულიად ცალკე საკითხია, თუ რა უნდა ეგულისხმა ვიტრუვიუსს “ფრიგიაში”. როცა იგი თავის ნაშრომს ქმნიდა მცირეაზიული სახელმწიფო ფრიგია და მისი კულტურული წრე კარგა ხნის გამქრალი იყო და აღარ მოიახრებოდა, როგორც შემოსახლდრული სახელმწიფოებრივი ერთეული ვიტრუვიუსისათვის ეს უკვე ზოგადი გეოგრაფიული ტერმინია, ეს არის მცირე აზიის შუაგული და მისი მიმდებარე ტერიტორიები, ნებისმიერი პუნქტი, რომელიც მთავორიანობით ხასიათდება, ანუ ის ტერიტორია, სადაც “ფრიგიული” ლანდშაფტია: ვიტრუვიუსის მიხედვით ზომ აქაური ადამიანები ბორცვებს ირჩევენ და მათზე კოჭებით კონუსებს წარმოქმნიან, შემდეგ კი მიწით ფარავენ, ანუ ბორცვის თავდაპირველ სახეს აღადგენენ. აქ ვიტრუვიუსი არაფერს ამბობს ერდოზე, ალბათ იმიტომ, რომ მისი აზრით, ეს ისედაც ცხადია: მიწურებს არ შეიძლება ფანჯრები ჰქონდეს. მიწურში, მის ცენტრში აუცილებლად უნდა ენთოს ცეცხლი და ბუნებრივია, კონუსის წვერში ღიობი უნდა იყოს. ეს წყარო ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნისა, დღემდე შემორჩენილი მესხური სახლის აღწერაა და ამასთანავე, როგორც თვითონვე გვაუწყებს, აქ საცხოვრისის უძველესი სახეა აღწერილი. ეს ასეა, მაგრამ ამ უძველესობის ფაქტიური დასაბუთება მაინც საძებნია საქართველოს ტერიტორიაზე. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ამგვარი სტრუქტურების არქეოლოგიური მოკვლევა და დაფიქსირება მეტისმეტად რთულია: სხვა თუ არაფერი, სახლი მიწურია, გადახურვა ხისა აქვს და მისი მთლიანი სტრუქტურა და კონსტრუქციული დეტალები შეიძლება ვერც კი დადასტურდეს. და მაინც, ამდაგვარი სახლი საქართველოში გათხრილია. როდესაც ამდაგვარს ვამბობთ, კონკრეტულად მესხურ სახლს

ვეულისხმობთ, რომელიც ქართლური დარბაზისაგან გარკვეული მონაცემებით გაირჩევა. კერძოდ, მისთვის არ არის დამახასიათებელი ბურჯი აუცილებლად სივრცის ცენტრში, რითაც განსხვავდება კიდევ ქართლური დარბაზისაგან, სადაც დედაბობი, ეს რელიგიურ – საკულტო და კონსტრუქციული ელემენტი სათემო ერთიანობის ძირითად განმსაზღვრელს წარმოადგენს. მესხურ სახლში კი გვირგვინი კედლებს ეყრდნობა, თუმცა მთლად ზუსტი არც ეს დანახსიათებაა – მიწურის ქვით მოპირკეთებულ კედლებს ხის ბურჯები აჰყვება. კოჭების ჰორიზონტალური წყობა სწორედ მათ ეყრდნობა. ეს იმიტომ, რომ ქვისა და ხის ურთიერთჭდობის სიმტკიცეს არაფერი განაპირობებს, ხოლო ვერტიკალური, ინტერიერს აკრული ბურჯებით. ერთიანი კონსტრუქციული მთლიანობა მიიღწევა.

1977 წელს, უფლისციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ამ კლდოვანი ნაქალაქარის ძირში, მისგან ჩრდილო – დასავლეთით 1,5 კმ – ზე ნასახლარს მიაკვლია. აქ მშვენივრად იკითხება ერთ – ერთი ნაგებობის გეგმაც და მრავალი კონსტრუქციული დეტალი. რაც მთავარია, იგი არქეოლოგიური მონაცემებით საკმაოდ ზუსტად თარიღდება ძვ. წ. III საუკუნით და ამასთანავე ყველა მონაცემს შეიცავს მისი რეკონსტრუქციისათვის: გვირგვინის დანახშირებული ფრაგმენტები, კედელს აყოლილ სვეტთა ბუდეები თავისი ბაზისებით, თიხატკეპნილი პოლიუმი, ცენტრალური კერა და სხვა (სურ. XIII, XIV). არც გეგმითა და არც კონსტრუქციით იგი ოდნავადაც არ განსხვავდება მესხური დარბაზისაგან და რა თქმა უნდა, ვიტრუვიუსი არ ცდებოდა, როცა ასეთ სახლს უბველეხი უწოდა. ახლა თითქმის ყველაფერი გვაქვს: წერილობითი წყარო, არქეოლოგიური დადასტურება და ეთნოგრაფიული სინამდვილე – დღემდე შემონახული დარბაზული სახლები. თუმცა არსებობს კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც დიდ სიფრთხილესა და მეტ ცოდნას მოითხოვს, რათა საცხოვრისთა კონტექსტში იქნას განხილული. ესეც “დარბაზული” სახლებია, რომლებიც დღემდე შემორჩენილი და გაბნეულია მესხეთ – ჯავახეთის მოსაზღვრე რაიონში, თორში და იმით იქცევს ყურადღებას, რომ მთლიანად ქვითაა ნაგები და ცრუ გუმბათებიც ქვითაა ამოყვანილი.

ურთულესი საკითხი ისაა, რომ ქვის დარბაზებისათვის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის, თანაც მათ ფუნქციაზეც არ გაგვაჩნია ნათელი წარმოდგენა. სამეცნიერო ლიტერატურამ, გარეგნობის მიხედვით, ვფიქრობთ რამდენადმე ნაჩქარევად, ისინიც საცხოვრისებს მიაკუთვნა. ეს ნაგებობები არქაულობის შთაბეჭდილებას ტოვებს – თუნდაც კედლების წყობით, რომელიც ამკარად გამოხატული არქაულ, პოლიგონალურ კედლების სისტემას განეკუთვნება. ქვები ხსნარის გარეშე ერთმანეთთან დაკავშირებულ – მორგებულნი, იარაღის კვალი კი მხოლოდ კარის ღიობის ვერტიკალურ

ფილებსა და არქიტრავს ეტყობა. თვით ღიობში მოუხრელად შესვლა თითქმის შეუძლებელია. აქ ცხადი მხოლოდ ისაა, რომ შუა საუკუნეებში მოსახლეობას ეს შენობები აუთვისებია, ძირითადად საქონლის სადგომად, ზოგიერთ მათგანში სალოცავიც მოუწყვია, კონუსური გადახურვების თავებისთვისაც მიუგნია და ერდობიც შეუქმნია, ე. ი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაგებობები გარეგნულად თითქოს საცხოვრისების ფორმას იმეორებს (სურ. XX, XXI), საგულისხმოა, რომ თავდაპირველად მათ ღიობები არ ჰქონიათ, ანუ აქ ცენტრში ცეცხლი არ ინთებოდა.

როგორც აღინიშნა, ეს ნაგებობანიც დღემდე საცხოვრისებადაა კლასიფიცირებული და უმეტეს შემთხვევაში, სრულიად დაუსაბუთებლად, შუა საუკუნეებს მიეწერება. რამდენიმე კითხვას თუ დავსვამთ, მათი ფუნქციის ამგვარი განსაზღვრება უკვე საეჭვო ხდება: ჯერ ერთი, რას უნდა გამოეწვია საცხოვრისებში ქვის ცრუ გუმბათებისათვის უპირატესობის მინიჭება ხესთან შედარებით იმ რეგიონში, რომელიც ტყის რესურსებით (როგორც ფოთლოვანი, ასევე წიწვოვანი ჯიშებით) საქართველოში ერთ – ერთი ყველაზე მდიდარი მხარე იყო (იხ. საქართველოს ატლასის სპეციალური რუკები 140 – 141 და 142 – 143) და ამჟამადაც არის? ამას გარდა, ქვის დარბაზული სახლები ტერასულადაა განთავსებული საგანგებო გრძივ მოედნებზე. თუ ეს სასოფლო დასახლებებია, ანუ აქ მოსახლეობა ცხოვრობდა, მაშინ სად არის სახნავი მიწები ან საძოვრები, რომელთაც ეს საზოგადოება უნდა ესაზრდობინა? ასეთი სასოფლო – სამეურნეო მიწები მათ სიახლოვეს არ ჩანს. ისედაც, თუ ეს საცხოვრისებია და უბრალოდ მათი ზედა სტრუქტურები ხის ნაცვლად ქვაშია განხორციელებული, მაშინ გეგმარებითაც ისინი საცხოვრისებს უნდა შეესაბამებოდეს – ამ საკითხზე ცოტა ხნით უნდა შევჩერდეთ:

ხის გვირგვინებიან საცხოვრისებში, ანუ მესხურ და ქართლურ დარბაზულ სახლებში სათავსოები ერთიან ურთიერთკომუნიკაციურ სისტემაშია მოყვანილი და მიუხედავად იმისა, რომ ყველა სათავსოს თავისი დანიშნულება აქვს, ყველა მათგანი ძირითადი ბირთვის, საკუთრივ გვირგვინით დასრულებული დარბაზის გარშემო თავმოყრილი და იგი აერთიანებს ცალკეულ სივრცობრივ ერთეულებს მთლიან საცხოვრისად.

ქვის დარბაზებში კი, რადიკალურად განსხვავებული სურათი გვაქვს: ესაა გეგმარებითი სქემები, რაც ითვალისწინებს კვადრატული ან წრიული გვირგვინიანი კამერების (და არა სრულფასოვანი სივრცეების) მაქსიმალურ იზოლაციას. სქემით ესაა ერთმანეთზე მიბმით, გრძივ ღერძზე განთავსებულ სივრცეთა რიგი, რომელიც ქვის გვირგვინით გადახურული იზოლირებული კამერით, ან დიდი ეზოს გარშემო განლაგებული ასევე იზოლირებული კამერებით მთავრდება. აქ შეიძლება საცხოვრისის ზოგადი მოდელი

დავინახოთ, მაგრამ ეს გეგმარებანი სხვა მიზნებისა და მოთხოვნებისათვის შექმნილსა ჰგავს. კონკრეტულად, ქვის კამერები ნამდვილად დარბაზის დამცრობილი მოდელია. რას შეიძლება ამ შემთხვევაში ემსახურებოდეს ქვა, როგორც წარმოდგენითი ერთეული? ალბათ, ხისაგან განსხვავებით, მდგრადობისა და მუდმივობის განცდას. ძალიან ფრთხილად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვის დარბაზების სახით შესაძლოა სამარხულ ნაგებობებთან გვექონდეს საქმე, ანუ, საცხოვრისთა შემცირებულ და დაკრძალვის თემატიკის მონაწილეობით შექმნილ მოდელებთან. მით უმეტეს, რომ შემორჩენილ და დაფიქსირებულ ქვის დარბაზთა გეგმები სრული გამეორებაა იმ კლდოვანი სამარხებისა, რომელთაც მრავლად ვხვდებით მთელ ახლო აღმოსავლეთში და არა მარტო იქ, არამედ საქართველოშიც. ასეთ შემთხვევაში ხის საცხოვრისისა და მისი ქვის მოდელის ურთიერთდამოკიდებულების სურათი სავსებით ლოგიკურ სახეს იძენს. უნდა აღინიშნოს, რომ ქვის “დარბაზების” შესწავლა მომავლის საქმეა და ხანგრძლივ საქმიანობას მოითხოვს.

კულტურა თავისთავში ზოგადად მრავალ საკითხს შეიცავს, მაგრამ ძირითადად ესაა ადამიანის მოღვაწეობის მრავალმხრივი მიმართულების, ბუნებისადმი, საზოგადოებისადმი და ბოლოს საკუთარი თავისადმი მისი დამოკიდებულების ისტორიულად და სოციალურად შეთანხმებული გამოხატულება, რაც მასვე უღვივებს მოღვაწეობის სურვილს და ამასთანავე აწესრიგებს მის ქმედებებს ყველა სფეროში. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მისი ერთ – ერთი უმთავრესი მისწრაფების სისტემაში – შექმნას საცხოვრისი, ანუ სამყაროს საკუთარი მოდელი. და შექმნა კიდევ – დიდი, რეალურად არსებული სივრციდან, როგორც მოცემულობიდან, გამოჰყო პატარა სივრცე, საცხოვრისი და საფუძველი დაუდო ადამიანურობას, ანუ გააცნობიერა მის მიერ შექმნილ სამყაროში თავისივე მსგავსი არსება. ეს კულტურის დასაწყისია, მანამდე კი მარტივად არსებობდა ცეცხლი – “სამყაროს ცენტრი”, რომელიც თანდათანობით მოქმედ ღერძად და დამოუკიდებელ არქიტექტურულ დეტალად იქცა და რომელმაც დასაწყისიდანვე უკარნახა ადამიანს, რომ მის გარშემო სივრცე მისივე მოთხოვნების შესაბამისად უნდა შექმნილიყო. გვირგვინიც, ხომ ცეცხლის მიერ გაპირობებული ფორმაა, ის ხომ კვამლის გავრცელების მიმართულებით წარმოიქმნა და ერღო, ხომ საკვამურთან ერთად ადამიანის უშუალო კავშირის ქმნის მის საკუთარ სივრცესა და დიდ სივრცეს შორის.

ამ მხრივ ფრიად საინტერესო სურათია სოფ. ჭაჭკარში, სწორედ იქ, საიდანაც დარბაზული სახლი მუზეუმში გადაიტანეს. ეს სანახევროდ კლდოვანი სოფელია და გამოქვაბული სახლები დღესაც ფუნქციონირებს სამეურნეო ნაგებობებად. ერთ – ერთ ყოფილ საცხოვრის ქვაბულში

სწორედ გვირგვინის ანალოგიური პირამიდული ფორმის ერღოა შექმნილი ცენტრალური კერის საპირისპირო საკვამურად და დანარჩენ სამყაროსთან კავშირის გამოსახატად (სურ. XXII).







თუ ახალციხისა და ვალეს დარბაზული სახლის ანასახებს დავაკვირდებით, თვალში უპირველესად ცადაქნილ, სხვადასხვა ზომის გვირგვინთა დინამიური მონაცვლეობა მოგვხვდება. მისი კონსტრუქციული გამოხატულებანი, რომელთაც ბუნებრივი გორაკების ანალოგიური გარსი (სურ. VI, X, XI), მიწაყრილი ფარავს. ეს არის ლანდშაფტის დაურღვევლობაც, ბუნებრივის მსგავსი ფორმებით მისი გაცოცხლებაც და არქიტექტურის პირველი ძირითადი მოთხოვნის განხორციელებაც, ანუ შიდა სივრცისა და გარე სამყაროს ჰარმონიული და ლოგიკური ურთიერთობისა.

## სურათების აღწერილობა


- I – საქართველოს რუკა. პუნქტირით ნაჩვენებია ისტორიული პროვინცია მესხეთ – ჯავახეთი.
- II – სახლი სოფ. ჭაჭკარში. ჭრილი, გეგმა (ლ. სუმბაძის მიხედვით).
- III – თენოშვილების სახლი სოფ. ხიზაბავრადან (ლ. სუმბაძის მიხედვით).
- IV – სოფ. სარო, ასპანიძეთა სახლის ჭრილი და გეგმა (ლ. სუმბაძის მიხედვით).
- V – ოქრომელიძეთა სახლის გრძივი განაკვეთი. ქალაქი ახალციხე (ლ. სუმბაძის მიხედვით).
- VI – სააკაძეთა სახლის განაკვეთი, ქალაქი ახალციხე (ლ. სუმბაძის მიხედვით).
- VII – ნათენაძეთა სახლის გვირგვინი სოფ. ჭაჭკარიდან (ვ. ბურჭულაძის ფოტო).
- VIII – მესხური დარბაზის გვირგვინი (ვ. ბურჭულაძის ფოტო).
- IX – მესხური სახლის ინტერიერი (ვ. ბურჭულაძის ფოტო).
- X – ნასყიდაშვილების სახლი სოფ. ვალეში, გეგმა (ლ. სუმბაძის მიხედვით).
- XI – ნასყიდაშვილების სახლი, აქსონომეტრული გეგმა და საბურველი (გ. ყიფიანი).
- XII – ქართულ საცხოვრისთა გვირგვინთა სახეები (ლ. სუმბაძის მიხედვით).
- XIII – არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი საცხოვრისი უფლისციხის მახლობლად. გეგმა, ფასადი, რეკონსტრუქცია (გ. ყიფიანი).
- XIV – საცხოვრისი უფლისციხის მახლობლად, აქსონომეტრული გეგმა (გ. ყიფიანი).
- XV – მესხური გვირგვინის ჩანახატი (გ. ყიფიანი).
- XVI – ქართული დარბაზი, ინტერიერი (ვ. ბურჭულაძის ფოტო).
- XVII – სოფ. ძველი მუსხი, მასისურაძეთა მიტოვებული დარბაზი (ვ. ბურჭულაძის ფოტო).
- XVIII – სოფ. ძველი მუსხი, მიტოვებული დარბაზული სახლის ინტერიერი (ვ. ბურჭულაძის ფოტო).
- XIX – ქართული დარბაზული სახლის ფასადი ახალციხიდან (ვ. ბურჭულაძის ფოტო).
- XX – ქვის დარბაზი სოფ. ლიკანიდან. გეგმა და ჭრილი (გ. ყიფიანი).
- XXI – ქვის ცრუგუმბათოვანი სახლები სოფ. ჭობისხევიდან (გ. ყიფიანის ფოტოები).
- XXII – სოფ. ჭაჭკარი. კლდოვანი საცხოვრისი სოფ. ჭაჭკარში (ირ. მალრადის ფოტოები).












V












IV VI











XIII






1 2




0 1 2 3 M



XIV

















It is no mere chance that we try to pay attention of Georgian and world society to the southern historic province of Georgia - Meskhet - Javakheti and Meskhi's dwelling. In Georgia Meskhet - Javakheti is one of those provinces, where the frequency of monumental architectural buildings is very high. There are churches and monastery complexes, fortresses, rocky towns. Odzrkhe, Tsunda, Baraleti - those were mighty urban centers in past, but now they are covered by ground. There are numerous former villages at the both banks of the Mtkvari (Kura) river. Agricultural terraces, enforced by stone walls adjoin them. Their length is many kilometers. There are run wild vine and fruit trees remained at some places of these terraces. Only historic monuments relate now about this land, intensively inhabited and prosperous in former times, where a fortress towered above each crossroad and monasteries and bishopric centres deepened Christian teaching.

This province was mighty military - religious center and industrial region of medieval Georgia. Traditional Georgian feudal families ruled here. It was advanced output for Georgia for keeping an eye on mouslem countries. Mouslem world naturally considered this province to be a key to conquer Georgia. The borders of historic provinces used to be changed during all the Middle Age long. Furthermore, architectural category like dwelling house is unable to be locked in any region without spreading outside. It is natural that our relation sometimes widens territories outside of Meskhet - Javakheti.

When a tourist views this land with its historic and architectural monuments, a logic question comes to him and perhaps certain dissatisfaction rises: he cannot see together with monuments, civil and ecclesiastic architectural creations that very space, which we shall discuss below. This space with all its features is created by agricultural nation and it functioned during many centuries as an ideal ecological world. It is clear that during those centuries its artistic face used to change, its interior improved etc. And a question comes: where did the people live who created these monuments? Are these churches and monasteries of special order of inhabitant and reply their needs? Unfortunately, to answer this question, the tourist guide (a worker of tourist firm or merely acknowledged person) points to the capital of Georgia, meaning Opened Ethnographic Museum.

Indeed, in 60 - s of 20<sup>th</sup> century it was decided to organize a museum of folk architecture in Tbilisi, at the territory nearby the Tortoise Lake. It meant to remove the unique samples of dwelling

houses from all parts of Georgia. So, the houses had to be removed from certain villages or towns - they had to be disassembled, transported a rebuilt at the territory, chosen for them. This museum was really created and it has quite many visitors. It is possible to view development of folk architecture according to samples from regions of Georgia here. The main result is that many splendid samples, which would be destroyed at their native places, had been reserved in this museum. Nevertheless, the modern view at this question arises certain skepticism. It The negative result of this useful and necessary action is also clear Perhaps it was better to create the museum with the models of houses, protecting and remaining originals themselves at the native places.

Many charts and conventions, dedicated to cultural heritage, forbid not only replacement of immobile monuments, but even elementary interference in them. That time neither these conventions were known to Georgian Soviet society, nor the state meant special programmes for monuments - the programmes, where each monument would be a subject of individual approach and protection according to its unique specific features. For that state it was sufficient a present situation. In created museum, of coarse, had been saved some individual samples. We must repeat here, that they would be destroyed at their native places for the modern type of house, which imitates urban house in certain details, begun to spread step by step in ancient villages. New generations had new modern requirements. At this land there still are the old people, who remember, that in Meskhi houses (a variation of Georgian house with "darbazi") simultaneously lived even 7 generations of one family. It is realized now, that the buildings of this sort were not only dwelling houses; their conservative type partly is connected with fortitude of superstitions and notions. Families, indivisibles in past, had been disintegrated in small units, according to generations, but these ancient houses used to unite relatives, being the points of collecting to fest certain family celebrations or other dates. So there existed gravity to sacred place, alter, hearth of family, as a mighty tool against community or village decay. True, these dwellings never been official worship centers but we think its possible to name them also cult - social buildings. Community or kin is already a certain society and the ritual house always contains worship functions too.

The immobile monument, even if it is a sample of folk creation, has various functions. This variety means also the social view, the

cultural and historical process of development and perhaps political one too. The idea is that belonging of a region to any country and its culture mainly is realized according to architectural monument and then it disappears from this territory, or the land of origin, community naturally leaves its main space and begins the quick process of devastation of ancient inhabitations. One of the provoking reasons actually is not remaining of traditional architecture (ill. XVIII, XIX).

We must also mark that an ancient dwelling house never exists isolated. When it becomes a museum exhibit, it partly loses the features of monument, for it is a monument with all its infra - structure, environment, surrounding inhabitation, landscape, communications net with churches, fortresses, village squares etc.

What is generally Meskhis dwelling house, why is it interesting? Where was it able to form as a united and balanced system? Many works are dedicated to Georgian houses, especially dwellings of "darbazi" (hall) type and they are described quite detailed. But great number of questions, connected with them actually needs further research in various directions. Here we only review them shortly and at the example of Meskhis "darbazi" discuss conditions of its appearance and reasons of its viability.

Meskhis darbazi is a dug - out or half dug - out building. Evidently it naturally appeared in mountainous land. The inner space of hills is realized for dwelling. The walls of dug - out are built with stones. Mainly these are local, easily available types. The planning of a house does not obey any order. These houses can be divided in mere and complicated types by planning. In mere type we mean the central space - a hall ("darbazi") itself, to which adjoin one or several auxiliary annexes. In spite of not strait outlines, we can classify them as central planned ones (for example - dwelling house in Chachkari village near Vardzia rocky ensemble, "darbazi" in Khizabavra (ill. III), Aspindza district etc.). Another type of planning gives quite different picture. This is genuine "painting" of planning with spaces, joined around halls, or the unity of separate cores. These are genuine community houses, where lived 5 - 6 families simultaneously. Area of Naskidashvili's house (village Vale, Akhaltsikhe district) is 1710 m<sup>2</sup>, including auxiliary annexes (ill. X). Here we must mark that somewhat "painting manner" of planning is typical for almost all the samples of Meskhis' houses (for example, Aspinadzes' house in Saro village, where the complex of spaces spreads radial from two wings of central hall, ill. V).

Often we can see houses with longitudinal planning too. They are framed with strict geometric forms and are typical for ancient Georgian towns. The samples of this kind we can see in Akhaltsikhe and Saakadzes' house is actually distinguished by dynamic plan, as the harmonic ensemble of halls of various sizes (ill. VI). Dwellings with longitudinal planning also are found in villages but nevertheless are of strict planning (ill. V. For example, the Okromelidzes' house in Muskhi village).

But the main feature of these houses is their upper structures. They are built by horizontal laying, with high domed and apertures in their heights opposite of the hearth in the centre of a hall. This construction in Georgia is named "a crown" and evidently it is the best name. In vertical section the house is realized in two parts - the dwelling space and its cover, which corresponds to a junction of crown with its laying and artistic view, created by it. The parallel laying gives many abilities from pyramidal space (square, stepped laying) till full cone (Octagonal or twelve angled laying). In case of quadrangular and octagonal laying interchange of rhombi resembles a rhombic laying too (ill. VIII, IX, XII, XV, XVI).

When we speak about any field of man's activities, we must be quite careful, awarding to it a grade like "folk" or "classic". We must not forget that "classic" never excludes "folk" and folk's work also can become a classic creation. Such is Meskhis dwelling house. No doubt, it is a folk creation for a house of this kind is an environmental balance, worked during centuries by means of spontaneous senses and of coarse, the result of systematized mentality. Restoration of energy, softened by labour better happens in such space. The sun heat, absorbed by man better is unloaded in pyramidal space than in angular. Furthermore, a man receives warmth and light from above, just like a great space (the aperture, cut in ceiling, heat, lifting up from hearth, filling by temperature the space of crown). Vitruvius explained quite clearly (and quite shortly, what is most typical for him) an ecological merit of these dwellings: "These houses are warm in winter and cool in summer." Here we have to discuss briefly also the second part of Vitruvius' treatise, exactly 5<sup>th</sup> part of 1<sup>st</sup> chapter of the 2<sup>nd</sup> book, although the 4<sup>th</sup> chapter also describes Georgian reality, related to Georgian wooden hall, typical for Colkhida, especially in seaside line of Western Georgia.

Vitruvius lived in 2<sup>nd</sup> half of 1<sup>st</sup> century B. C. He was an engineer and architect himself. He is the author of a treatise about archi-

ecture, almost completely preserved till our age ("Ten books about architecture"). He aimed this work for the emperor (better - the princeps) Octavianus Augustus. For naturally, no accidental "architecture" style could be enclosed in this treatise.

Vitruvius has described a structure like Meskhis dwelling (we think, it is the same one) under the general name of Phrygian house. But it is impossible to understand Vitruvius' work, especially this part of it without imaging the result of his style; or we have to mean something, what is not said but it exists by all means. Because of certain reason (it is clear, why) Vitruvius leaves out "trifles" in his text, evidently it was quite difficult for him to imagine a minimal level of reader's education and meant that his logic categories were clear for everybody. He says: "As for Phrygians, who live in arid lands and have little wood, they choose hills, dig them, cut entries and widen dug - outs according to natural conditions. They construct conic roofs by means of beams, which are first covered with clay and then with a thick layer of earth. These houses are very warm in winter and cool in summer".

"It is another question of what would be meant under "Phrygia". When Vitruvius wrote his work, the Minor Asian state of Phrygia had been disappeared long ago and it did not mean any bordered state territory. It was only a geographic term for Vitruvius and it meant central regions of Asia Minor and that adjoined territories, which are known of their mountainous relief, or the territories, the landscape of which is "Phrygian". According to Vitruvius, people chose here hills, constructed cones by beams and covered again with earth, restoring their initial face. Here Vitruvius says nothing about roof - aperture, evidently he thinks that it is clear: dug - out cannot have windows. In the dug - out, in its centre must be burned fire by all means and it is natural, an aperture must be above it in the ceiling, at the top of a cone. So this source is a description of 1<sup>st</sup> century B. C. Meskhis dwelling. Its structures are still remained but Vitruvius, as he says, describes an ancient type of dwelling house. It is true, but we still have actual evidences of this ancient story in Georgia. It's of course so, but the evidence of its anciency has to be searched in Georgia. Here we must take into consideration that it is too difficult to find and fix archeological structures at this very territory of Georgia: the house is dug - out (earthen), the roof is wooden and every detail of the whole structure and its constructions cannot be identified and still the house of this kind is excavated in Georgia. When we say "this

kind", we mean Meskhis' house, which has certain differences from Kartlian "darbazi": the support in the centre of space is not characteristic to Meskhis' dwellings, when in Kartlian "darbazi" the central support "central - column" is a religious and constructive element and it symbolizes unity of all community. As for Meskhis' dwelling, here "crown" supports on walls and perhaps even this description is not full exact: the wooden supports adjoin the walls of the dug-out, faced with stones and horizontal beams lean on them. The reason of it is that nothing keeps stone and wooden material fixed and the constructive unity is obtained by supports, adjoining the walls.

In 1977 Uplistsikhe archeological expedition found an ancient dwelling at the foot of ancient town Uplistsikhe, in 1.5 km from it. Here we can perfectly see a plan of building and many constructive details. What is important we can quite exactly date this house to the 3<sup>rd</sup> century B. C. and it contains all the details for its reconstruction: burned fragments of the crown, frames of wall - adjoined supports with their bases, the stage of pressed clay, central hearth etc (ill. XIII, XIV). By its planning and constructions it doesn't differ from Meskhis "darbazi" and of course, Vitruvius was right, when he called this type of house "ancient". Now we have a full set: the written source, the archeological evidence and the ethnographic reality - still remained houses with "darbazi". Though there is also a category, which needs great carefulness and more examination to be considered in context of dwelling houses. These are "darbazi" dwellings too, still remained and dispersed in Tori - the region, bordering to Meskhet - Javakheti. They attract attention because they are completely built with stone and together with false domes.

The main difficulty is that there is not an exact date for stone "darbazis" yet and furthermore we have no clear imagination about their functions. Scientific literature considers them in type of dwelling category yet. Surface of these buildings make quite an archaic impression, for instance by laying, which is well-expressed archaic, polygonal one. The stones are close fitting. Traces of tools we see only at vertical blocks of door aperture and threshold. Only stooped man is able to enter these apertures. It is clear, that in the Middle Ages people used these buildings mainly as cattle - sheds. Sometimes they had found tops of cones and arranged openings. It means that although these buildings imitate dwelling houses, initially they had no openings in ceiling, so fire was not burnt in the centre here (ill. XX, XXI).

As we already marked, these buildings are still classified as dwellings without any evidences. If we ask some questions, this determination of their function will become very dubious: first of all, what may be a reason of arranging stone, not wooden false domes at dwellings in the region, which was one of the richest provinces of forests in Georgia (see special maps 140 - 141 and 142 - 143 of atlas of Georgia) and remains these reserves both of deciduous and coniferous sorts? Besides this stone "darbazi" houses are placed in terraces at special longitudinal squares. If population inhabited here and these are villages, why are there no plough - lands and pastures, used by this society? These agricultural lands are not around mentioned houses. Furthermore, if these are dwellings with stone constructions instead of wooden, planning of them must correspond to dug - outs. We must review this question more carefully. In dwellings with wooden crowns, or Meskian and Georgian "darbazi" house rooms are formed in balanced, communicated system. Each space has its own function and all of them are collected around centre - the hall, ended by a crown itself and it unites separate space units in the whole house.

In case of stone halls we have absolutely different picture: their planning means maximum isolation of square or round crowned chambers (but not sound spaces).

By planning we see a range of spaces, placed along a longitudinal axis, finished by isolated chambers. We cannot see here a common model of dwellings, but this type looks like created for another aim. Stony chamber really is a diminished model of "darbazi". For what may be used stone, as a material? Very carefully we can assume that these stone halls may be funeral structures, or diminished models of dwellings, created for funeral aims. Furthermore, planning of remained and found models are full copies of rocky graves, which we see so often in the whole Near East and not only there - in Georgia too. In this case a picture of attraction between wooden dwelling and its stone model acquires logic image. Here we must say that research of stone halls is a business that must be begun in future and it will need quite long activities.

Culture contains many spheres, but generally it is historically and socially agreed expression of various directions of man's activity, his attitude to nature, society and at last to himself. It provokes him for further activities and the same time organizes them in all spheres, among them one of the main aspirations - to create a dwelling, his one model of the world. He created it - divided from a great reality a

long activities.

Culture contains many spheres, but generally it is historically and socially agreed expression of various directions of man's activity, his attitude to nature, society and at last to himself. It provokes him for further activities and the same time organizes them in all spheres, among them one of the main aspirations - to create a dwelling, his one model of the world. He created it - divided from a great reality a small space - his dwelling and became the base for his humanity, or realized similar creations in the world, built by him. This is the beginning of culture. Before this merely was a fire, as a "centre of the world", which step by step became an acting axis and independent architectural detail. It initially dictated a man that a space around him had to be created according to his demands. The crown is a form, demanded by fire, it had been created at the direction of smoke spreading and smoke - aperture with flue consist the direct connection of a man between his own space and the great world.

There is very interesting picture of this in Chachkari village, that very place, from where the dwelling with "darbazi" had been taken to the museum. This is a half rocky village and caved houses still function as thrifty buildings. In one of the caved former dwelling we can see the aperture of conic form, similar to the crown. It appears as a flue above the central hearth and expression of connection with the outer world (ill. XXII). If we examine the drawing of Akhaltsikhe "darbazi" dwelling, first of all we notice a dynamic system of various crowns, directed to sky. Its constructive expressions, covered by earthen layer, are similar to natural hills (ill. VI, X, XI). This is protection of landscape, its animation with forms, like natural ones and realization of the main demand of architecture or harmonic and logic attractions between inner and outer spaces.

## List of Illustrations

- I – Map of Georgia. Meskhet – Javakheti province is marked by a dotted line.  
II – Section and plan of the house in Chachkari village (after to L. Sumbadze)  
III – House of Tenoshvilis' in village Khizabavra. Plan, section (after to L. Sumbadze).  
IV – Saro village. Section and plan of the Aspanidzes' house (after to L. Sumbadze).  
V – Longitudinal section and plan of Okromelidzes' house from Muskhi village (after to L. Sumbadze).  
VI – Section of the Saakadzes' house. City of Akhaltsikhe (after to L. Sumbadze).  
VII – Crown of the Natenadzes' house from form Chachkari village (photo by V. Burchuladze).  
VIII – Crown of Meskhi's "darbazi" (photo by V. Burchuladze).  
IX – Interior of Meskhi's house (Photo by V. Burchuladze).  
X – The Naskidashvilis' house in Vale village. Plan ((after to L. Sumbadze).  
XI – The Naskidashvilis' house, space plan and cover (G. Kipiani).  
XII – Views of crowns of Georgian dwellings ((after to L. Sumbadze).  
XIII – Dwelling found during archeological excavations near Uplistsikhe. Plan, frontal view and reconstruction (G. Kipiani).  
XIV – Dwelling near Uplistsikhe. Space plan (G. Kipiani).  
XV – Drawing of Meskhis' crown (G. Kipiani).  
XVI – Georgian "darbazi". Interior (photo by V. Burchuladze).  
XVII – Village Dzveli Muskhi. The abandoned "darbazi" of Maisuradzes.  
XVIII – Village Dzveli Muskhi. Interior of abandoned "darbazi" house (photo by V. Burchuladze).  
XIX – Frontal view of Georgian "darbazi" house from Akhaltsikhe (photo by V. Burchuladze).  
XX – Stony "darbazi" from village Likani. Plan and section (G. Kipiani).  
XXI – Houses with stony false domes from village Chobiskhevi (photos by G. Kipiani).  
XXII – Village Chachkari. Rocky dwelling in Village Chachkari (photos by Ir. Magradze).



